



კულტურული მემკვიდრეობის ზონების კეთილმოწყობა
უბისას მონასტერთან

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მიმოხილვა

დაფინანსებული მსოფლიო ბანკის მიერ
რეგიონალური განვითარების პროექტი 2

გარემოსდაცვითი სკრინინგი და კლასიფიკაცია

უბისას მონასტრის კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური აღორძინების ქვე-პროექტი ითვალისწინებს უბისას ტურისტული ინფრასტრუქტურისა და წყალმომარაგების სისტემის მოწყობას. უბისას მონასტერი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში იმერეთის რეგიონში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში თბილისიდან 175 კილომეტრში.

ქვე პროექტი მოიცავს:

- ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობას.
- მანქანების სადგომი ადგილის მოწყობას;
- მისასვლელი გზის რეაბილიტაციას;
- უბისას მონასტრისა და ვიზიტორთა ცენტრისთვის წყალმომარაგების სისტემის მოწყობას;
- ვიზიტორთა ცენტრში შიდა კანალიზაციის სისტემის და კანალიზაციის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობას.

ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად სრული ფართობია 2236 მ².

ვიზიტორთა ცენტრი წარმოადგენს ერთ სართულიან კარკასულ ნაგებობას (145.82მ²) რომელიც დამუშავებულია ადგილობრივი ბუნებრივი თლილი ქვით, ცენტრში მოწყობილია შემდეგი ნაგებობები: ვიზიტორთა ოთახი (23.80მ²) ტვალეტები (22.24 მ²) ღია ტერასა (76.20 მ²), დახურული ტერასა (23.58მ²). შენობის გათბობა მოხდება ელექტრო ენერჯით. მცირე ზომის საყრდენი კედელი აშენდება რელიეფის გარკვეულ ნაწილში პარკინგის ადგილის მოწყობის მიზნით ინფრასტრუქტურასთან ახლოს. პარკინგის ადგილი გამიზნულია მგზავრების მანქანებისა და ავტობუსებისათვის.

ტურისტული ინფრასტრუქტურა მოეწყობა (856 მ² + 1380 მ²) მუნიციპალიტეტის ქონების რეგისტრაციის მქონე მიწის ნაკვეთზე, (იხილეთ თანდართული საკადასტრო ინფორმაციის ფაილი).

ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტირება მოხდა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე.

ქვე-პროექტი მოიცავს უბისის სამონასტრო კომპლექსის მისასვლელი გზის რეაბილიტაციას. კერძოდ გზის საფარს (სიგრძით 580 მ, სიგანე 6 მ) ასფალტო ბეტონის ფენით, ჩამდინარე წყლების ღარების მოწყობას (1205მ) საყრდენი კედლის მოწყობას

(252მ) და ტროტუარების მოწყობას (580 მ). მილის მეშვეობით ჩამდინარე წყლების დაცლა მოხდება მდინარე ძირულაში.

მონასტრის ამჟამინდელი წყალმომარეგების სისტემა მთლიანად ამორტიზირებულია. არსებული წყლის დაწნევითი მილსადენის წყარო ზაფხულში შრება, ზოგადად წყაროს დებეტი არ შეესაბამება ადგილობრივი წყლის მომხმარებლის მინიმალურ საჭიროებებს.

ქვე-პროექტი მოიცავს უბისის მონასტრისა და ვიზიტორთა ცენტრის წყალმომარეგების სისტემის მოწყობას. წყალის მოწოდება მოხდება მდინარე ძირულადან. ჰორიზონტალური წყალმიმღები განთავსდება მდინარე ძირულას ნაპირზე, მდინარიდან დაახლოებით 80მ დისტანციით. დრენაჟირებული წყალი პოლიეთილენის მილით (200 მ) გადავა უჟანგავ ფოლადის რეზერვუარში ($V=25m^3$). რეზერვუარიდან წყალი პოლიეთილენის თვითდინების მილით (150 მ) მიეწოდება ვიზიტორთა ცენტრს და მონასტერს. წყალმიმღებთან მოეწყობა საქლორატორო სადგული კირ ქლორით.

მდინარე ძირულას ნაპირზე მდინარიდან დაახლოებით 140 მეტრში დატბორვის ზონის ზედა ნიშნულზე მოეწყობა „ ბიოტალი“-ის ტიპის წყალგამწმენდი ნაგებობა სიმძლავრით $Q=2\text{ მ}^3/24\text{სთ}$. გამწმენდი ნაგებობის გავლით წყალი ჩაედინება მდინარე ძირულაში.

ჰორიზონტალური წყალმიმღების (236.25 მ²) წყლის რეზერვუარის (40 მ²) და წყალგამწმენდი ნაგებობის (20.25მ²) ტერიტორია შემოიფარგლება მავთულის ღობით.

(ა) ზეგავლენის დადგენა

<p>აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე ?</p>	<p>პროექტს საგრძნობი დადებითი ზემოქმედება აქვს სოციალურ გარემოზე.</p>
<p>რაში მდგომარეობს ქვე-პროექტის მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე?</p>	<p>უბისას მონასტრის ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა გააუმჯობესებს ინფრასტრუქტურას მომსახურებისთვის რომ იმერეთის რეგიონში მოხდეს ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკის და კულტურული მემკვიდრეობის სფეროს ხელშეწყობა.</p> <p>მოსალოდნელი უარყოფითი და დადებითი გარემო და სოციალური ზეგავლენა იქნება მოკლე ვადიანი, დამახასიათებელი მცირე და საშუალო ზომის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია, სამშენებლო ტექნიკის გამონაბოლქვი, სამშენებლო ნარჩენები,</p>

	<p>სატრანსპორტე და საფეხმავლო მისასვლელი გზების მოშლა.</p> <p>მიუხედავად იმისა რომ ქვე პროექტის განხორციელება მოხდება კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიის გარშემო, მონასტრის შენობის სამშენებლო დეტალებზე არ იგეგმება ინტერვენცია. აქედან გამომდინარე სამონასტრო კომპლექსის სტრუქტურულ მთლიანობასა და ისტორიულ ღირებულებაზე ნეგატიური რისკის ზეგავლენა მინიმალურია. რადგანაც ქვე პროექტის განხორციელება მოხდება კულტურული მემკვიდრეობის ადგილზე, ექსკავაციის დროს დიდი ალბათობაა ადგილი ქონდეს შემთხვევითი აღმოჩენებს.</p>
<p>შესაძლოა ქვე პროექტს ქონდეს რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა როგორც ადგილობრივ თემებზე ასევე ზემოქმედების ქვეშ მყოფ ხალხზე?</p>	<p>არ არის მოსალოდნელი განსახლება და ახალი მიწების ათვისება. გრძელვადიანი სოციალური ზეგავლენა ა იქნება სარგებლიანი: ტურისტთა ნაკადის ზრდა, კერძო სექტორის მოზიდვა ტურისტული ინფრასტრუქტურის ინვესტირებისათვის, (სასტუმროები, რესტორნები, სავაჭრო ცენტრები, გასართობი ადგილები და ა.შ.)</p> <p>რაც შეეხება უარყოფით ზეგავლენას, იქნება მოკლე ვადიანი და შემოიფარგლება მხოლოდ სამშენებლო ადგილზე. რაც ძირითადად უკავშირდება ზემოთ ნახსენებ დისკომფორტთან.</p>

(ბ) შემამასუბუქებელი ზომები

<p>ქვეპროექტის პროექტირების რა ალტერნატივები იქნა გათვალისწინებული?</p>	<p>მოხდა პარკინგის და სხვა საშუალებების განთავსების ალტერნატივების გათვალისწინება, და შეირჩა ოპტიმალური ვარიანტი.</p>
---	---

<p>რა სახის შემამსუბუქებელი ზომებია შეთავაზებული?</p>	<p>სამშენებლო ფაზის მოსალოდნელი ნეგატიური ზეგავლენის შემსუბუქება მარტივად არის შესაძლებელი სამშენებლო ადგილის გამიჯვნით, სატრანსპორტე მართვით, სამშენებლო ტექნიკის კარგად შენახვით, დადგენილი სამუშაო საათების გათვალისწინებით, და ნარჩენების ოფიციალურად ნებადართულ ადგილებზე ორგანიზებული გატანით.</p> <p>შემთხვევითი აღმოჩენებისას მოხდება სამუშაოების შეჩერება, ხოლო კულტურის სამინისტროს გაგეგზავნება შეტყობინება, სამუშაოების განახლება მოხდება მხოლოდ სამინისტროს წერილობითი თანხმობის საფუძველზე.</p> <p>მოხდება სამოსანტრო კომპლექსის წყლის დაქლორვა. დამონტაჟდება და სათანადოდ იმუშავებს ბიოლოგიური წყალგამწმენდი მოწყობილობა, რომ თავიდან იქნას აცილებული ვიზიტორთა ცენტრში ახლად მოწყობილი კანალიზაციის სისტემის მიერ წყლის დაბინძურება.</p>
<p>რა მსგავსი გამოცდილების გაერთიანება მოხდა პროექტირებისას.</p>	<p>მოხდა ტურისტული ინფრასტრუქტურის თავდაპირველი პროექტის შესწორება და გაკეთდა ძირითადი ცვლილებები როგორცაა სამშენებლო მდგრადობის საინჟინრო დეტალების უზრუნველყოფა და უნარშეზღუდული ხალხის მიერ შენობის გამოყენების უფლების უზრუნველყოფა.</p>
<p>იყვნენ თუ არა ჩართულნი დაინტერესებული თემები? ქვე-პროექტის პროექტირებისას სათანადოდ მოხდა თუ არა მათი ინტერესებისა და ცოდნის გათვალისწინება?</p>	<p>ხარაგაულის (სოფელი უბისა) მოსახლეობას და უბისას სამონასტრო კომპლექსის წარმოადგენლებს სოფელ უბისას საჯარო სკოლაში ჩატარებული შეხვედრისას მიეწოდათ ინფორმაცია მოსალოდნელი ქვე-პროექტის შესახებ,(04.-06.2012) რაზეც მათი რეაქცია იყო დადებითი.</p> <p>ქვე პროექტის სპეციფიური EMP-ი იქნება</p>

	<p>ხელმისაწვდომი ხარაგაულის მოსახლეობისთვის და მისი განხილვა მოხდება საკონსულტაციო შეხვედრაზე სამუშაოების დაწყებამდე.</p>
--	--

(გ) კატეგორიზაცია და დასკვნა

სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით,

ქვე-პროექტი კლასიფიცირდება როგორც გარემოსდაცვითი კატეგორია

A

B

C

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვეპროექტი უარყოფილია

2. ქვე პროექტი მიღებულია

მიღების შემთხვევაში და რისკების შეფასების საფუძველზე, ქვეპროექტის მომზადება საჭიროებს:

მცირე ზომის მშენებლობისა და სარეაბილიტაციო მოქმედებისთვის გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო სიის დასრულებას

1. გარემოსდაცვითი მიმოხილვა, მათ შრის გარემოსდაცვითი მართვის გეგმის შემუშავებას.

სოციალური სკრინინგი

სოციალური უსაფრთხოების სკრინინგის ინფორმაცია		დიახ	არა
1	ინფორმაცია კუთვნილების, მესაკუთრეობის და მიწის სარგებლობის სტატუსთან დაკავშირებული ხემისაწვდომი და შემოწმებადია? (სკრინინგი ვერ დასრულდება ამის ხელმიუწვდომლობის შემთხვევაში)		✓ *
2	ქვე-პროექტის მიერ შემცირდება თუ არა ხალხისთვის ხელმისაწვდომობა თავინთ სამეურნეო რესურსებზე, როგორცაა მიწის ნაკვეთი, საძოვრები, წყალი, კომუნალური მომსახურებები, ან სხვა რესურსები რაზედაც ისინი არიან დამოკიდებულნი?		✓
3	ქვე პროექტისთვის გახდება თუ არა საჭირო ოჯახების ან ინდივიდების განსახლება ან მიწის ნაკვეთების შესყიდვის საჭიროება? (სახემწიფო ან კერძო, დროებითი ან მუდმივი).		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტი მოსავლის, ხეხილის და შიანმეურნეთა ინფრასტრუქტურის (როგორც არის ღობე, ბეღელი, გარე საპირფარეშოები, სამზარეულო და ა.შ) დროებით ან მუდმივ დანაკარგს?		✓
<p>თუ ზემოთ დასმულ ნებისმიერ კითხვაზე პასუხი არის „დიახ“ (გარდა კითხვა 1-ისა) მაშინ OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება მისაღებია, ხოლო შემამასუბუქებელი ზომები უნდა შესრულდეს OP/BP 4.12 -ს და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტით.</p>			

*ტურისტული ინფრასტრუქტურა მოეწყო იმ მიწის ნაკვეთებზე რომლებიც დარეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებად. (იხილეთ თანდართული საკადასტრო ინფორმაციის ფაილი).

მიმდინარეობს ჰორიზონტალური წყალმიმღების რეზერვუარისა და წყალგამწმენდი მოწყობილობის ტერიტორიის რეგისტრაციის პროცედურები.

გარემოსდაცვითი მიმოხილვა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

შესავალი

1.1. საფუძველი

საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 25 ივნისს (მთავრობის დადგენილება № 172) მიიღო დოკუმენტი “სახელმწიფო სტრატეგია საქართველოს რეგიონული განვითარების შესახებ 2010-2017 წლებისათვის”, რომელიც მოამზადა საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ. სტრატეგიის მთავარ მიზანს წარმოადგენს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა და ცხოვრების დონის ამაღლება. ამ მიზნების მიღწევა უნდა განხორციელდეს დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით, გაზრდილი კონკურენტუნარიანობით, და სოციალურ-ეკონომიკური გათანაბრების დონის გაზრდით რეგიონებს შორის.

იმერეთში არსებული ტურისტული და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის უკეთ გამოყენებისათვის და შიდა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შესამცირებლად, საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა მსოფლიო ბანკს, რათა მას უზრუნველყო ფინანსური სახსრები იმერეთის რეგიონული განვითარებისათვის. რეგიონული განვითარების პროექტი ერთობლივად მომზადდა საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ და უკანასკნელი უზრუნველყოფს სესხს რგპ-ის განხორციელების დასაფინანსებლად.

უბისას მონასტრის კულტურული მემკვიდრეობის სამშენებლო ადგილის კომპლექსური აღორძინების ქვე პროექტი არის რეგიონალური განვითარების პროექტი II-ის ნაწილი, რომელიც მომზადდება, განიხილება, დამტკიცდება და განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკის შესაბამისად.

მდგ-ს დიდი გამოცდილება აქვს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში. ფონდს ქვეყნის მასშტაბით მრავალი პროექტი აქვს განხორციელებული როგორც წყლის და კანალიზაციის რეაბილიტაცია მშენებლობის ასევე გზების და ელექტრო მომარაგების. უნდა აღინიშნოს რომ კახეთის რეგიონში ხორციელდება მსგავსი რეგიონალური განვითარების პროექტი (75 მილიონი აშშ დოლარი) და მდგ -ის თანამშრომლებს უკვე მიღებული აქვთ დამატებითი გამოცდილება მსგავს პროექტებში.

რეგიონალური განვითარების პროექტი II -ის მრავალმხრივი ბუნებიდან გამოდინარე, დაარსდა სამუშაო ჯგუფი რომელიც მოიცავს ყველა სააგენტოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციას, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის

დაცვის სააგენტო, კულტურული მემკვიდრეობის ფონდი, მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, იმერეთის გამგებლის სამსახური, ფინანსთა სამინისტრო და რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ასევე არის მასშტაბური განვითარების კომპონენტი რომელიც შექმნილია მდფ-ის ინსტიტუციონალური შესაძლებლობისა და მუშაობის გასაფართოვებლად, რომლის მეშვეობითაც იმერეთის რეგიონალური განვითარების სამშენებლო ზედამხედველობაზე გამოცხადდება ტენდერი კვალიფიციური კონტრაქტორის შესარჩევად.

1.2. ინსტიტუციონალური ფარგლები

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობების განმტკიცების ხელშეწყობა, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და სამსახურებში ფინანსური რესურსების ინვესტირების მეშვეობით და პირველადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრადი გაუმჯობესება ადგილობრივი მოსახლეობისათვის (თემებისათვის). მგფ განსაზღვრულია რგპ-ს განმახორციელებელ ორგანიზაციად და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ მართვაზე, გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების ჩათვლით.

მგფ ამზადებს და დასამტკიცებლად წარუდგენს მსოფლიო ბანკს ქვეპროექტის შეფასების ანგარიშებს, რომელსაც თანდართული აქვს უსაფრთხოების ზომების დოკუმენტაცია. ეს კი საჭიროებისამებრ მოიცავს, გარემოსდაცვით შეფასებას, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმასთან ერთად, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა მზადდება მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის გამოყენებით, და ასევე განსახლების სამოქმედო გეგმას.

ძირითადი დაინტერესებული მხარეები

გრანტის მიმღები/ მსესხებელი:	საქართველოს მთავრობა წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროს მიერ
ადგილობრივი წარმომადგენლები =:	ქალაქ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები
დაფინანსები წყარო:	მსოფლიო ბანკი და მუნიციპალური მთავრობა/საქართველოს მთავრობა
განმახორციელებელი სააგენტო:	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

ფინანსები

უბისის მონასტრის კულტურული მემკვიდრეობის აღორძინების პროექტის ღირებულება მოიცავს 1,047,489 ლარს.

განხორციელება

- სასესხო ხელშეკრულება უბისას მონასტრის კულტურული მემკვიდრეობის ადგილის კომპლექსური აღორძინების დასაფინანსებლად მგფ-სა და ქალაქ ხარაგაულის მუნიციპალურ მთავრობას შორის.

1.3 კანონმდებლობა და ნორმები

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (2008), ქვე-პროექტი არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (EIA) და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვებას.

ქვე პროექტი მოქმედებაში მოიყვანს მსოფლიო ბანკის OP/BP 4.01 გარემოსდაცვით შეფასებას და OP/BP ფიზიკური კულტურული რესურსების უსაფრთხოების პოლიტიკას.

მიმდინარე პროგრამაზე მორგებული ზემოთ ხსენებული უსაფრთხოების პოლიტიკის და გარემოსდაცვითი მართვის მიხედვით, ქვე პროექტი კლასიფიცირდა ბ (+) კატეგორიად და საჭიროებს გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად გარემოსდაცვითი მიმოხილვის და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადებას.

ქვე პროექტი დადასტურებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ.

2. ქვეპროექტის აღწერა

უბისას მონასტრის კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური აღორძინების ქვე-პროექტი ითვალისწინებს უბისას ტურისტული ინფრასტრუქტურისა და წყალმომარაგების სისტემის მოწყობას. უბისას მონასტერი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში იმერეთის რეგიონში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში თბილისიდან 175 კილომეტრში.

ქვე პროექტი მოიცავს:

- ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობას.
- მანქანების სადგომი ადგილის მოწყობას;
- მისასვლელი გზის რეაბილიტაციას;
- უბისას მონასტრისა და ვიზიტორთა ცენტრისთვის წყალმომარაგების სისტემის მოწყობას;
- ვიზიტორთა ცენტრში შიდა კანალიზაციის სისტემის და კანალიზაციის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობას.

ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად სრული ფართობია 2236 მ².

ვიზიტორთა ცენტრი წარმოადგენს ერთ სართულიან კარკასულ ნაგებობას (145.82მ²) რომელიც დამუშავებულია ადგილობრივი ბუნებრივი თლილი ქვით, ცენტრში მოწყობილია შემდეგი ნაგებობები: ვიზიტორთა ოთახი (23.80მ²) ტვალეტები (22.24 მ²) ღია ტერასა (76.20 მ²), დახურული ტერასა (23.58მ²). შენობის გათბობა მოხდება ელექტრო ენერგიით. მცირე ზომის საყრდენი კედელი აშენდება რელიეფის გარკვეულ ნაწილში პარკინგის ადგილის მოწყობის მიზნით ინფრასტრუქტურასთან ახლოს. პარკინგის ადგილი გამიზნულია მგზავრების მანქანებისა და ავტობუსებისათვის.

ტურისტული ინფრასტრუქტურა მოეწყობა (856 მ² + 1380 მ²) მუნიციპალიტეტის ქონების რეგისტრაციის მქონე მიწის ნაკვეთზე, (იხილეთ თანდართული საკადასტრო ინფორმაციის ფაილი).

ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტირება მოხდა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე.

ქვე-პროექტი მოიცავს უბისის სამონასტრო კომპლექსის მისასვლელი გზის რეაბილიტაციას. კერძოდ გზის საფარს (სიგრძით 580 მ, სიგანე 6 მ) ასფალტო ბეტონის ფენით, ჩამდინარე წყლების ღარების მოწყობას (1205მ) საყრდენი კედლის მოწყობას (252მ) და ტროტუარების მოწყობას (580 მ). მილის მეშვეობით ჩამდინარე წყლების დაცლა მოხდება მდინარე ძირულაში.

მონასტრის ამჟამინდელი წყალმომარეგების სისტემა მთლიანად ამორტიზირებულია. არსებული წყლის დაწნევიით მილსადენის წყარო ზაფხულში შრება, ზოგადად წყაროს დებეტი არ შეესაბამება ადგილობრივი წყლის მომხმარებლის მინიმალურ საჭიროებებს.

ქვე-პროექტი მოიცავს უბისის მონასტრისა და ვიზიტორთა ცენტრის წყალმომარეგების სისტემის მოწყობას. წყალის მოწოდება მოხდება მდინარე ძირულადან. ჰორიზონტალური წყალმიმღები განთავსდება მდინარე ძირულას ნაპირზე, მდინარიდან დაახლოებით 80მ დისტანციით. დრენაჟირებული წყალი პოლიეთილენის მილით (200 მ) გადავა უჟანგავ ფოლადის რეზერვუარში (V=25მ³). რეზერვუარიდან წყალი პოლიეთილენის თვითდინების მილით (150 მ) მიეწოდება ვიზიტორთა ცენტრს და მონასტერს. წყალმიმღებთან მოეწყობა საქლორატორო სადგული კირ ქლორით.

მდინარე ძირულას ნაპირზე მდინარიდან დაახლოებით 140 მეტრში დატბორვის ზონის ზედა ნიშნულზე მოეწყობა „ ბიოტალი“-ის ტიპის წყალგამწმენდი ნაგებობა

სიმძლავრით $Q=2$ მ³/24სთ. გამწმენდი ნაგებობის გავლით წყალი ჩაედინება მდინარე ძირულაში.

ჰორიზონტალური წყალმიმღების (236.25 მ²) წყლის რეზერვუარის (40 მ²) და წყალგამწმენდი ნაგებობის (20.25მ²) ტერიტორია შემოიფარგლება მავთულის ლობით.

3. საბაზისო გარემო პირობები

უბისას მონასტერი მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, იმერეთის რეგიონში, თბილისიდან 175 კილომეტრში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, ზღვის დონიდან 285-2642 მეტრზე, რელიეფი არის მთიანი, მუნიციპალიტეტის სრული ტერიტორია მოიცავს 91,3 ათას ჰექტარს.

ბარში კლიმატი სუბტროპიკულია, ზამთარი ცივი, ზაფხული ცხელი. საშუალო წლიური ტემპერატურა არის 14°C, იანვარში ტემპერატურა 3,7-4,30°C, ხოლო აგვისტოში 24°C. ხშირად უბერავს აღმოსავლეთის და დასავლეთის ქარი, ზოგჯერ ქარი ზღვის მხრიდანაც უბერავს.

გამოკვლეული ადგილის გეოლოგიური ფორმირება ძირითადად გამოწვეულია ადრეული, გვიანი და სეგმენტირებული მეოთხეული დეპოზიტებისგან. ადრეული მეოთხეული დეპოზიტი წარმოდგენილია ღორღით, ქვიშით და თიხით, ქვიშა და თიხა გვხვდება მდინარეების მაღალ ტერასებზე.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდრო-გეოლოგიური ზონირების მიხედვით (ი. ბურჭულაძე) ეს ტერიტორია მდებარეობს არტეზიული აუზის საზღვარზე, არგვეთის დაბლობ რეგიონში, ნაპრალოვანი, ნაპრალოვან-კარსტული და ძირულას მასივის ნაპრალის და ნაპრალოვან-კარსტული გრუნტის წყლის უბანზე. ამ ტერიტორიის ჰიდრო გეოლოგიური მდგომარეობა ხასიათდება არგვეთის დაბლობის, ნაპრალოვანი, ნაპრალოვან-კარსტული და წყლის არტეზიული აუზის რეგიონისათვის დამახასიათებელი ჰიდრო გეოლოგიური ფორმაციებით. ამ რეგიონში მოცემულია ადრეული ცარცული, გვიანდელი ცარცული და პალეოგენური წნევის და ალევიური ქვიშა-ქვის მასივების წყლიანი ჰორიზონტები. ვალენჟინ-ბარემიანის კირქვის წნევის ჰორიზონტები ასევე ფართოდ არის აქ გავრცელებული. ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული ტიპის გრუნტის წყლები ხასიათდებიან დაბალი მინერალიზაციის დონით, შეიცავენ სულფატ-ჰიდროკარბონატს. ჰორიზონტი არ გამოირჩევა მაღალი წყლით.

უბისას მონასტერი მდებარეობს მდინარე ძირულას მარჯვენა ნაპირზე. მდინარის სიგრძე 83 კილომეტრია. მდინარის წყალშემკრების ფართობია 1270 კმ². მდინარის წლიური საშუალო დინებაა 20,9 მ³/წამ. მდინარე იკვებება წვიმა, თოვლი და მიწისქვეშა წყლებით. გაზაფხულის წყალდიდობები იწყება აპრილში და გრძელდება მაისის ბოლომდე. სექტემბერში მდინარის დონე იკლებს და არის უმდაბლესი.

ნიადაგი ყავისფერი და ალუვიური ტიპისაა, მათი განაწილება ძირითადად დამოკიდებულია რელიეფის ასაკზე. ტყის ყავისფერი ნიადაგი გვხვდება შესაბამისად ძველ ზედაპირის ელემენტებზე, მაშინ როდესაც ალუვიალური ნიადაგი გვხვდება ახალგაზრდა (ზედა მეოთხეულ) მდინარის ტერასაზე.

სოფელი უბისას გარშემო არტყავს შერეული ფართო ფოთლებიანი ტყე. რომელშიც იზრდება შემდეგი ხეები: რცხილა, წიფელი, მუხა, კუნელი, წაბლი.

ქვე პროექტის ტერიტორია ძალზედ სახემეცვლილი ლანდშაფტისაა, რომელსაც ფარავს მეორადი ხარისხის მცენარეები. ქვე პროექტის ტერიტორიის გარშემო დგას რამოდენიმე ალვის ხე, იმ ტერიტორიაზე სადაც მოეწყობა ტურისტული ინფრასტრუქტურა და წყალმომარაგების სისტემა დგას წაბლის (წითელ ფოთლებიანი ჯიშის) და მუხის ხეები.

სოფელი უბისას, რომელიც მდებარეობს უბისას მონასტერთან ეკუთვნის ბორითის თემს. სოფელი განთავსებულია მდინარე ძირულას ორივე მხარეს, ზღვის დონიდან 320 მეტრზე, ქალაქ ხარაგაულიდან 11 კილომეტრში. სოფელში არის დაწყებითი სკოლა, მოსახლეობის რაოდენობა კი შეადგენს 400. სოფელში გადის თბილისი სენაკის გზატკეცილი. ძირითადი შემოსავლის წყაროა სიმინდი, ლობიო და ბოსტნეული. რიგი ოჯახები აწარმოებენ მცირე ზომის რესტორნების ბიზნესს გზატკეცილის გასწვრივ.

მდინარე ძირულას ნაპირზე სოფელ უბისას გარეუბანში მდებარეობს უბისას უძველესი სამონასტრო კომპლექსის წმ. გიორგის ეკლესია. (IX საუკუნე) რომლის დაარსებაც უკავშირდება გრიგოლ ხანძთელის სახელს. ოთხ სართულიანი კოშკი - მესვეტის საცხოვრებელი (1141 წელი) უძველესი გალავნის ნანგრევები (XII საუკუნე) მოგვიანებითი შენობის დანამატი (XVI საუკუნე) ეკლესია (ზარი) კოშკი და სხვა საყოფაცხოვრებო ნაგებობები). ეკლესია და “ სვეტი „ (კოშკი) აშენებულია ფოროვანი ყვითელი ფერის შირიმის ქვით. ფასადებს თითქმის აღარ აქვს შერჩენილი ორნამენტები. უბისას განსაკუთრებულად განთქმულია XIV საუკუნეში მოხატული ფრესკებით. ასამბლეს ყველაზე ღირშესანიშნაობად ითვლება ეკლესიის მოხატულობა რომელიც შესრულებულია გერასიმეს მიერ რომელიც დამიანეს მოწაფე იყო (წარწერების თანახმად) დამიანეს ხელმძღვანელობით. შეიმჩნევა თავად შესრულებლის და ბიზანტიური მხატვრობის დამახასიათებელი შტრიხები. ასევე შეინიშნება სხვა მხატვრის კვალი. საკმაოდ კარგადაა შენახული თითქმის იატაკამდე მოხატული კედლები, თალი პილასტრები. ერთის მხრიდან იგი აგრძელებს ქართულ მონუმენტურ მხატვრობის ტრადიციას (ფერები, იკონოგრაფული დეტალები), მეორეს მხრივ კი ამჟღავნებს პალეო-ლოგოს ხელოვნების ძეგლებთან მჭიდრო კავშირს.

4. პოტენციური ზეგავლენის ანალიზი

4.1 სამშენებლო ფაზა

4.1.1 სოციალური ზეგავლენა

- **სოციალური საკითხების ზოგადი მომიხილვა:** სარეაბილიტაციო საქმიანობით გამოწვეული მნიშვნელოვანი სოციალური ზეგავლენა, როგორცაა ადგილობრივი დემოგრაფიული სტრუქტურის შეცვლა, ახალმოსახლეების ნაკადი, მეორადი განვითარება, სამუშაო შესაძლებლობები და შიდა და დაკავშირებული რისკების ზრდა გათვალისწინებული არ არის.
 - **განსახლების საკითხები.** პროექტი არ ითვალისწინებს კერძო მიწის შექენას და პერმანენტული ხასიათის ზეგავლენას კერძო, ან იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და კერძო აქტივებსა, თუ ბიზნესებზე.
- **მშენებლობის მუშების დასაქმების შესაძლებლობასთან დაკავშირებული პოზიტიური ზეგავლენა.** შეზღუდული და დროებითი მშენებლობის განმავლობაში და შეზღუდული ოპერირებისას.
- **ხმაურთან, გამონახოლქვთან და ვიბრაციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საკითხები.** შეზღუდული და დროებითი.
- **სატრანსპორტე მოძრაობის დარღვევა.** ქვე პროექტთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობების შედეგად, დროებით შეიზღუდება ადგილობრივი სატრანსპორტო მოძრაობა.
 - **უსაფრთხოება და ხელმისაწვდომობა.** სარეაბილიტაციო ტერიტორიის მახლობლად მდებარე ტერიტორიებზე მისვლა შემცირდება და შესაბამისად დაიკლებს სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეებისათვის მოსალოდნელი პოტენციური საფრთხე რეაბილიტაციის პროცესში.

4.1.2. კულტურულ მემკვიდრეობაზე ფიზიკური ზეგავლენა

ქვე პროექტის განხორციელება მოხდება კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიის გარშემო. არ იგეგმება მონასტრის შენობის სტრუქტურული ელემენტებზე ინტერვენცია, აქედან გამომდინარე უარყოფითი რისკების ზეგავლენა სტრუქტურულ მთლიანობასა და მის ისტორიულ ღირებულებაზე მინიმალურია.

მიუხედავად შემთხვევითი აღმოჩენების ალბათობისა ქვეპროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის სამუშაოების მოცულობა მცირეა. ამგვარ შემთხვევებში მყისიერად შეჩერდება სამუშაოები და მოხდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წერილობითი ინფორმირება, ხოლო სამუშაოები განახლდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ნებართვის საფუძველზე.

4.1.3 გარემოზე ზეგავლენა

სამშენებლო მასალების და ნარჩენების არასწორმა მართვამ, შენახვამ, გამოყენებამ და გადაყრამ, შესაძლოა გამოიწვიოს წყლის/მიწის დაბინძურების რისკი სამშენებლო ტერიტორიასა და შენახვის ადგილას.

აღჭურვილობის არასწორმა მოვლა-პატრონობამ და საწვავით შევსებამ შესაძლოა ასევე გამოიწვიოს მიწის და გარკვეულწილად წყლის (სეზონური ნიადაგის გადასასვლელთან ახლოს) პოტენციური დაბინძურება. ეს უკანასკნელი ზეგავლენა ნაკლებ სავარაუდოა.

- **ნიადაგის დაბინძურება**

მსგავსი სახის პროექტთან დაკავშირებული პოტენციური დაბინძურების საშუალებებია (მოცემული ნუსხა არ მოიცავს ყველა საკითხს):

- სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებებთან და მექანიზმებთან დაკავშირებული დიზელის საწვავი, საზეთი ზეთი და ჰიდრაულიკური სითხე, ანტი-ფრიზი და სხვ.
- სხვადასხვა დამაბინძურებელი (მაგ. ცემენტი და ბეტონი);
- სამშენებლო ნაგავი (შეფუთვა, ქვები და ხრეში, ცემენტის და ბეტონის ნარჩენი, ხე და ა.შ.)
-
- **წყლის დაბინძურება**

წყლის დაბინძურება შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა წყარომ, შემდეგი წყაროების ჩათვლით:

- საწვავის, ზეთის, ან სხვა სახიფათო ნივთიერების დაღვრამ, განსაკუთრებით საწვავის ჩასხმის პროცესში;
- შლამიანი წყლის გათავისუფლებამ მიწიდან;
- ჩამონადენი წყლის შლამმა ("სამშენებლო წყალი");
- სატრანსპორტო საშუალებების, ან აღჭურვილობის გარეცხვამ;
- დაბინძურებული მიწის და გრუნტის წყლის დაუცველობამ.

გაუონვა შეიძლება სწრაფად ჩავიდეს ქვემოთ წყლის ობიექტის დინებისკენ. დაბინძურების წყალში ჩასვლის შემდეგ შესაძლოა ძნელი იყოს მისი ლოკალიზება, რაც შემდგომ ზეგავლენას მოახდენს ქვედა ბიეფის ვრცელ ფართობზე. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოპერატიული ქმედებების გატარებას ნებისმიერი პოტენციური დაბინძურების შემთხვევისას.

სამუშაო ფართობის ნიადაგის ზედა ფენისგან გათავისუფლების შემდეგ ზედაპირზე ჩნდება ქვედა ფენა. წვიმიან ამინდში მიწის სამუშაოების წარმოების დროს აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ფართობიდან შეწონილი ნარჩენების უკონტროლო გასვლა.

- **ჰაერის დაბინძურება და ხმაური**

ჰაერის დაბინძურების სავარაუდო ზეგავლენა მინიმალურია და უკავშირდება ტრანსპორტისა და მძიმე ტექნიკის ექსპლუატაციას სამშენებლო მოედანზე და მასალების ტრანსპორტირების დროს.

- ხმაური და ვიბრაცია მძიმე ტექნიკისა და ტრანსპორტისგან;

- გამონაბოლქვი (ტრანსპორტისგან, ბუდლოზერებისა და ექსკავატორებისგან და ა.შ).
- მტვერი (ტრანსპორტისგან);
- შესაძლებელია გაჩნდეს სუნის პრობლემა, რაც უკავშირდება მასალების მოწოდებასა და ტრანსპორტირებას.

სამშენებლო ნარჩენები

ინერტული სამშენებლო ნარჩენები

სამშენებლო სამუშაოების შესრულების დროს მოსალოდნელია სხვადასხვა სახის ინერტული ნარჩენების წარმოშობა, კერძოდ:

- ბუნებრივი მასალა (ნიადაგი, ქანები);
- უსაფრთხო ნივთიერებით, ან ობიექტებით დაბინძურებული ნიადაგი.

არა სახიფათო სამშენებლო ნარჩენები

ძირითადი არა სახიფათო სამშენებლო ნარჩენები მოიცავს შემდეგს:

შესაფუთი მასალა.

- რკინა (მათ შორის ჯართი, მავთული) რკინის ნარჩენების უმინშენლო რაოდენობაა მოსალოდნელი.

სახიფათო სამშენებლო ნარჩენები

სახიფათო სამშენებლო ნარჩენების მცირე მოცულობა წარმოიქმნება ძირითადად ტრანსპორტის ტექ. მომსახურების სამუშაოების შედეგად. სახიფათო ნარჩენები რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მოიცავს:

თხევად საწვავს;

- საცხებ-საპოხ მასალას, ჰიდრაულიკურ სითხეს;
- ქიმიურ ნივთიერებებს, მაგ. ანტიფრიზს;
- დაბინძურებულ ნიადაგს;
- გაჟონვის საწინააღმდეგო მასალებს, რომლებიც გამოიყენება ზეთის შესაწოვად და ქიმიური ნივთიერებების გაჟონვის საწინააღმდეგოდ.
- მანქანის/ძრავის ფილტრის კარტრიჯებს;
- ზეთიან ტილოებს, ნახმარ ფილტრებს, დაბინძურებულ ნიადაგს და ა.შ.

ტრანსპორტთან დაკავშირებული ზეგავლენა

ხმაურის და ვიბრაციის ზეგავლენა

- ტრანსპორტის საცობები
- ჰაერის დაბინძურება
- ტალახი გზებზე
- ტრანსპორტის საწვავით შევსება, ტექ. მომსახურება და რეცხვა და ამასთან დაკავშირებული ნიადაგისა და წყლის დაბინძურების რისკი.

ნიადაგის საფარის ზედა ფენის დანაკარგები მისი მოჭრის შედეგად

- ნიადაგის ზედა ფენის გარეცხვა არასწორი შენახვისა და აღდგენის გამო;
- ნატანის ჩადინება მდინარესა და წყლის ობიექტებში;
- დაბინძურებული ნიადაგის ზეგავლენა;

მცენარეები, ფაუნა, ლანდშაფტი

მცენარეებზე პოტენციური ზეგავლენა მინიმალურია. ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს ბუჩქების ან ტყეების გაჩეხვას. წითელ წიგნში შეტანილი მცენარეების (განსაკუთრებით ფესვები) და სხვა დიდი ხეების დაზიანების თავიდან ასაცილებლად მიღებული იქნება ზომები.

ქვე-პროექტის ადგილზე არსებული არც ერთი ფაუნის ჯიში არ არის დაცული საქართველოს კანონმდებლობით ან საერთაშორისო შეთანხმებებით. ამას გარდა ქვე პროექტის ადგილი აღნიშნული ჯიშებისთვის არ განეკუთვნება არც გამოზამთრების, არც გამოკვების ან მიგრაციის ადგილს.

ქვე პროექტი არ ითვალისწინებს ლანდშაფტის მნიშვნელოვან ცვლილებას. მოხდება ადრეული რელიეფის აღდგენა.

4.2 მუშაობის ფაზა

ინფრასტრუქტურის ოპერირებასთან დაკავშირებული პოტენციური ზეგავლენა იქნება შემდეგი:

ტურისტთა გაზრდილი ნაკადი რაც გაზრდის როგორც ნარჩენების ასევე ხმაურის დონეს; კულტურული მემკვიდრეობის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზრდილი საგზაო მოძრაობა, რაც გამოიწვევს გამონაბოლქვის და ხმაურის მატებას, ასევე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებს.

საკულტო ობიექტებზე ტურები შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს ადგილობრივ ტრადიციებთან და/ან რელიგიურ მრწამსთან

- ფრესკების ფოტოგადაღებას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს მათი დაზიანება იმპულსური სანათით გამოწვეული ფოტოქიმიური რეაქციის გამო

წყლის დაქლორვის პოტენციური რისკები უკავშირდება დაქლორვის პროცესის დარღვევას როდესაც:

- ხდება კირ ქლორის არასათანადო ტრანსპორტირება, შენახვა და გამოყენება რაც ზიანს მიაყენებს პერსონალის ჯანმრთელობას და გამოიწვევს კირ ქლორის დოზის გადაჭარბებას სასმელ წყალში.
- დაქლორვის პროცესის შეჩერება.

დადებითი სოციალური ზეგავლენა უკავშირდება ტურისტული ინფრასტრუქტურის გაზრდას, რასაც დასაქმების მხრივ დადებითი გავლენა ექნება ადგილობრივი მოსახლეობაზე.

5. შემამსუბუქებელი ზომები

ეს გარემოსდაცვითი მართვის გეგმა მომზადდა რათა უზრუნველყოს ქვე-პროექტთან დაკავშირებული გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმადე დაყვანა.

5.1 სამშენებლო ფაზა

კონტრაქტორს მოეთხოვება:

1. სამშენებლო მასალის მოპოვება მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლისგან.
2. თუ კონტრაქტორს სურვილი აქვს მასალა მოიპოვოს კარიერიდან ან მდინარის კალაპოტიდან (ვიდრე ეს მასალები შეისყიდოს სხვა მომწოდებლისგან), მაშინ მან ინერტული მასალების ამოღებაზე უნდა მოიპოვოს ლიცენზია.
3. თუ კონტრაქტორს სურს ამუშაოს თავისი ასფალტის ქარხანა (ვიდრე შეისყიდოს ეს მასალა სხვა მომწოდებლისგან) ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოიპოვოს გარემოსდაცვითი ნებართვა.
4. თუ კონტრაქტორს სურს ამუშაოს საკუთარი ბეტონის ქარხანა (ვიდრე შეისყიდოს ეს მასალა სხვა მომწოდებლისგან) ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს აღწერის ტექნიკური ანგარიში და შეათანხმოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან.
5. საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის წერილობითი შეთანხმების თანახმად სამშენებლო ნარჩენების დაცლა უნდა მოხდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. უნდა მოხდეს ნარჩენების დაცლის ჩანაწერების წარმოება, როგორც სათანადო მართვის დამამტკიცებელი საბუთი.
6. სამუშაოების დაწყებამდე მდფ-ს უნდა ჩაბარდეს მოპოვებული ლიცენზიების ასლები, ბეტონის ქარხანა მოწყობილობის ატმოსფერული ჰაერის

დაბინძურების აღწერის ტექნიკური ანგარიში და ნარჩენების გატანის შეთანხმება.

7. GOST და SNIP ნორმების დაცვა

სამშენებლო პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას რიგი შეზღუდვები და შემამსუბუქებელი ზომები:

იკრძალება მძიმე ტექნიკის და მოწყობილობების გამოყენება:

ტექნიკის მოძრაობა ნებადართულია მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით.

1. შეიზღუდება მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე
2. შეიზღუდება ტექნიკის მოძრაობის სიხშირე.
3. სამშენებლო ადგილზე იკრძალება სახიფათო ნარჩენების უკონტროლო შენახვა.
4. სამშენებლო ადგილიდან ყოველდღიურად უნდა მოხდეს სამშენებლო ან მუნიციპალური ნარჩენების მოშორება ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდეგ.
5. მობილიზაციის ეტაპზე ყველა მომუშავე გაივლის მაღალი მგრძნობელობის ადგილზე მუშაობის ტრეინინგს.
6. ქვე პროექტის ტერიტორიის ახლოს არსებული დიდი ხეები (მათ შორის კაკლის) მონიშნება და შემოიღობება, რათა თავიდან იქნას აცილებული ფესვების და ხეების რაიმე სახით დაზიანება.
